# საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

**N10/04/01 2024 წლის 10 აპრილის ქ. თბილისი**

**საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ**

საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის უზრუნველსაყოფად წინადადებების მომზადების მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კომისია (შემდეგში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

| | |
|---|---|
| **თამარ სულუხია** | - თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ISET-ის და ISET კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე |
| **არჩილ მესტვირიშვილი** | - ყოფილი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და საბჭოს წევრი, IMF-ის ექსპერტი |

| | |
|---|---|
| **ნიკოლოზ ყაველაშვილი** | - სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი |
| **გიორგი ხიშტოვანი** | - პი ემ სი კვლევითი ცენტრი, კვლევითი დირექტორი |
| **გიორგი ისაკაძე** | - მედიაკომპანია BMG-ის გენერალური პროდიუსერი |
| **ქეთევან თათოშვილი** | - საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში, კომისიის მდივანი. |

2. კომისიამ შეიმუშაოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები და განსაზღვროს შესაბამისი ქულათა სისტემა.

3. კომისია უფლებამოსილია გაესაუბროს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ვაკანსიებით დაინტერესებულ კანდიდატებს. გასაუბრება საჯაროა.

4. კომისია ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის თითოეულ კანდიდატს შეაფასებს კომისიის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების შედეგები აისახება კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილ შემაჯამებელ ოქმში, რომელიც არა უგვიანეს 2024 წლის 20 აპრილისა წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს.

5. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

სალომე ზურაბიშვილი